შ.პ.ს. “დიდგორი-2011” “Didgori-2011” Ltd
საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ს/კ 404901111. ტელ.: 551147980
Village Dighomi, Tbilisi, Georgia, I/d: 404901111. Tel.: 551147980

ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №17-ის მიმდებარედ ს/კ 01.14.07.004.068
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე გავლენის შეფასება

დირექტორი ნ. სილაგაძე

თბილისი 2017 წელი

ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №17-ის მიმდებარედ ს/კ 01.14.07.004.068 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

წარმოდგენილი მასალები:

1. არქიტექტურული-სამშენებლო ნაწილი;
2. კონსტრუქციული ნაწილი;
3. საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა;
4. პროექტის კონსტრუქციული ანგარიში;
5. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა. დამკვეთის მიერ დასმული კითხვით: "გთხოვთ ჩაატაროთ ექსპერტიზა ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №15-17-ში მიმდინარე სამუშაოები და ასაშენებელი შენობის ფუნდამენტი უქმნის თუ არა საფრთხეს მომიჯნავე შენობა-ნაგებობებს." ექსპერტი გაიკ აბრამიანი. პასუხი გაცემულია 15.12.2016 წ.

მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე გავლენის შეფასება

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შემდეგია: "წარმოდგენილი მასალების ანალიზმა და ჩატარებული ვიზუალური გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №15-17-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას მიღებული ტექნიკური გადაწყვეტილებებით მომიჯნავე შენობა-ნაგებობები დაცულია უარყოფითი ზემოქმედებისაგან. მშენებლობა ვერ მოახდენს გავლენას მათ მდგრადობაზე და მზიდუნარიანობაზე მშენებლობის მთელ პერიოდში."

საპროექტო ტერიტორიას, რომლის საკადასტრო კოდია 01.14.07.004.068 უშუალოდ ესაზღვრება შემდეგი საკადასტრო ერთეულები:

ს/კ 01.14.07.004.059, რომლის ფართი შეადგენს 401 მ^2 და საკადასტრო რუკის მიხედვით მასზე განთავსებულია ერთი ორსართულიანი შენობა, რომელიც საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზიდან დაშორებულია 6 მ-ით. მშენებარე ობიექტის განაპირა ღერძიდან კი 8.3 მ-ით;

1. **ს/კ 01.14.07.004.060**, რომლის ფართი შეადგენს 120 მ^2. მასზე განთავსებულია ორი ნაგებობა 1/2 და 2/1. საპროექტო ნაგებობის წითელი ხაზიდან დაშორებულია 0.0 მ-ით. შენობის ღერძიდან დაშორებულია 8 მ-ით.


განვიხილოთ ორი ეტაპი:

1. გავლენა ქვაბულის ამოღების პროცესში;
2. გავლენა შენობის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში;

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე

1. გავლენა ქვაბულის ამოღების პროცესში.


პროექტის მიხედვით ქვაბულის ძირის ნიშნული “1” ღერძთან, რომლითაც ესაზღვრება განსახილველ ობიექტს შეადგენს 522.95 მ. ზღვის დონიდან განსახილველი ობიექტის ეზოს ნიშნული კი შეადგენს 528.19 მ-ს. სხვაობა შეადგენს 5.24 მ-ს. საანგარიშო სქემას აქვს შემდეგი სახე.



სნ და წ 3.02.01-87 §3.11 და §3.15-ის თანახმად ქვაბულის ფერდის დახრა მოცემული გრუნტისთვის მიიღება 1:2 ე.ი. ფერდის ჩამოშლა ვრცელდება 2.6 მ-ზე. ე.ი. არსებულ შენობასთან დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტი რჩება 4.4 მ, რაც პასუხობს ნორმის მოთხოვნებს და ქვაბულის ამოღების პროცესი გავლენას ვერ ახდენს არსებულ მომიჯნავე შენობაზე.

2. გავლენა შენობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში.

საანგარიშო სქემა



პნ 02.01-08 “შენობებისა და ნაგებობების ფუძეები” მუხლი 10. პუნქტი 5. საძირკვლის ჩაღრმავება არსებულიდან მნიშვნელოვნად ჭარბი დატვირთვების დროს იანგარიშება ფორმულით

$$\Delta h \leq a\,tg\psi$$

სადაც $tg\psi = tg\varphi, + \frac{C_I}{p}$

a – მანძილი საძირკვლებს შორის;

φ, და C, - საანგარიშო მნიშვნელობებია გრუნტის შიგა ხახუნის კუთხისა და შეჭიდულობის ძალის; φ,=40°; C,=5 კგ/სმ^2.

p – საშუალო წნევა ზემოთ განთავსებული საძირკვლის ძირზე; p=1.5 კგ/სმ^2.

$tg\psi = tg40° + \frac{5}{1.50} = 0.84 + 3.3 = 4.14$

Δh =800·4.14=3312 სმ> Δh =424 სმ;

პირობა დაკმაყოფილებულია, არსებულ შენობას საფრთხე არ ემუქრება.

დასკვნა

ანგარიშით მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ასაგები შენობა როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პროცესში ცალსახად გავლენას ვერ მოახდენს არსებულ მომიჯნავე შენობებზე.

კონსტრუქტორი ზ. ხილაგაძე 15.09.2017 წ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
2. პნ 02.01-08 შენობებისა და ნაგებობების ფუძეები;
3. პნ 03.01-09 ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები.

ზაურ სილაგაძე
(საპროექტო სამუშაოების გამოცდილება)

ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფ. დიდგორი: (995 51)-14 79 80

დაბადების თარიღი: 2 იანვარი, 1951
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

განათლება:

1971 – 1976 ***საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.***
სამშენებლო ფაკულტეტი
ინჟინერ-მშენებლის სპეციალობა

სამუშაო გამოცდილება:

2/08/1976 – 15/02/1992 ***თბილისის ზონალური სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი "თბილზნიეპი"***
ინჟინერ კონსტრუქტორი
უფროსი ინჟინერი
ჯგუფის ხელმძღვანელი
პროექტის მთავარი ინჟინერი
პროექტის მთავარი კონსტრუქტორი

15/09/1989 – 15/01/1990 ***მივლინება კამბოჯის სახალხო რესპუბლიკაში, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები***

10/11/1999 – 24/03/2004 ***შპს "არქგეოზი"-ს მთავარი ინჟინერი***

- კოსტავას ქ. 47-ში აშენებული 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლისა და სასტუმრო ვარაზის მთავარი კონსტრუქტორი და მშენებელი.
- ხორავას ქ. 4-ში 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მთავარი კონსტრუქტორი და მშენებელი.

07/06/2005 – 12/05/2006 ***შპს "გიკსი"-ს მთავარი ინჟინერი***

- სააქციო საზოგადოება "ცოდნის" შენობაზე 1 სართულის დაშენების მთავარი კონსტრუქტორი და მშენებელი.

10/07/2007 – 01/06/2010 ***შპს "გასნიკკომპანი"-ს მთავარი ინჟინერი***

- საცხოვრებელი სახლი დოლიძის ქუჩა №46-ში და ბალანჩივაძის ქუჩა №41-ში მთავარი კონსტრუქტორი და მშენებელი.

02/01/2007 – 16/07/2010 *შპს "პროექტი 21"*

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაკვეთით რუსთავის №6, გეგუთის №8 და ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების პროექტების მთავარი კონსტრუქტორი.

1/06/2009 – 2011 წ. *შპს "გონი 2009"*
მთავარი ინჟინერი
შ.პ.ს. „გუნსან ტრაფიქ ელექტრიკ ვე ინშაათ მუჰენდისლიკ სანაი თიჯარეთ ლიმიტედ შირქეთი"-ს ქვეკონტრაქტორი

- იმერეთის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასახლებული პუნქტების გადასახვევებთან ინდივიდუალური პროექტირების საინფორმაციო-საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები.

- კახეთის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასახლებული პუნქტების გადასახვევებთან ინდივიდუალური პროექტირების საინფორმაციო-საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები.

2010-2013 წლები *შპს "ერდო"*
მიწვეული სპეციალისტი კონტრაქტით,
ლაითურის სასჯელაღსრულების პროექტების
მთავარი კონსტრუქტორი (მიმდინარეობს მშენებლობა)
დოკუმენტაცია გრიფით საიდუმლო.

2011 წლიდან დღემდე *შპს "დიდგორი-2011"*
დამფუძნებელი და მთავარი კონსტრუქტორი
მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მთავარი კონსტრუქტორი

2014 წელი *მძლეოსნობის ოლიმპიური კომპლექსის მთავარი კონსტრუქტორი*

2014 წლიდან დღემდე *შპს "ბინექს"*
მთავარი კონსტრუქტორი
მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მთავარი კონსტრუქტორი

კომპიუტერი და ენები:

- კომპიუტერული უნარ-ჩვევები: MONOMAKH Sapr, LIRA Sapr (მომხმარებლის დონეზე)
- ენები: ქართული, რუსული (სრულყოფილად).

დიპლომი

Г-I № 182323

ეს დიპლომი მიეცა სილაგაძე
ზაური აპოლონის ძეს
მასზე, რომ იგი 1971 წელს შევიდა
ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1976წელს დაამთავრა
ალნიშნული ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1976 წ.
„22“ ივნისის გადაწყვეტილებით
ზ.ა. სილაგაძეს მიენიჭა
ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ქალაქი თბილისი 1980წ. „17“ IV

სარეგისტრაციო № 4993-Сгр

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Г-I № 182323

Настоящий диплом выдан Силагадзе
Заури Аполлоновичу
в том, что он в 1971 году поступил
в Грузинский политехнический
ин-т им. В.И. Ленина
и в 1976 году окончил полный курс
названного института
по специальности
Промышленное и гражданское
строительство

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „22“ июня 1976 г.
Силагадзе З.А.
присвоена квалификация
инженера-строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

м. п.

Город Тбилиси „17“ IV 1980 г.

Регистрационный № 4993-Сгр.

Московская типография Гознака. 1976.

საქართველო

მოქალაძის პირადობის მოწმობა



პირადი № 01003008527

სახელი ზაური

გვარი სილაგაძე

დაბადების თარიღი 20.01.1951

დაბადების ადგილი ყყალტუბო

N° ბ 1414903

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი ს. დიღომი

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახური

გაცემის თარიღი 25.03.2011

მოქმედების ვადა 25.03.2021

რეგისტრაციის თარიღი 25.03.2011

ბ.ა.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამკვეთი: სსიპ სარეაბილიტაციო მომსახურებების სააგენტო; შპს „კაბადონი +“; სფს რეგისტრაციის № 05-1621